

## საქართველოს მთავრობა

### სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისია

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო  
მინისტრის აპარატი



შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის  
ეროვნული კონცეფციისა და 2013 წლის სამოქმედო  
გეგმის შესრულების ანგარიში

აპრილი, 2014 წელი

**შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი**

მისამართი: თბილისი, 0134, გ.ლეონიძის ქ. №3/5

ტელეფონი: +995 32 2923299, +995 32 2922632

ვებგვერდი: [www.smr.gov.ge](http://www.smr.gov.ge)

ელფოსტა: [tinagog@hotmail.com](mailto:tinagog@hotmail.com)

## შინაარსი

შესავალი.....	4
<b>სტრატეგიული მიმართულებების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა:</b>	
I. კანონის უზენაესობა .....	5
II. განათლება და სახელმწიფო ენა .....	8
III. მედია და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა .....	15
IV. პოლიტიკური ინტეგრაცია და სამოქალაქო მონაწილეობა.....	18
V. სოციალური და რეგიონული ინტეგრაცია .....	21
VI. კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნება .....	24
VII. რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ განხორციელებული საქმიანობა.....	27

## შესავალი

2013 წელს გაგრძელდა შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და 2009-2014 წწ. სამოქმედო გეგმის განხორციელება, რომელიც დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2009 წლის 8 მაისის №348 განკარგულებით. ამ აქტის მიხედვით, რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს<sup>1</sup> დაევალი ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებაში პოლიტიკის შემუშავება და კოორდინირება, აგრეთვე, საქართველოს მთავრობასა და პრეზიდენტთან არსებული საბჭოს წინაშე ანგარიშის წარდგენა. ამ პროცესების კოორდინირებულად განხორციელების მიზნით რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის 2009 წლის 3 ივლისის №14 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისია.

კომისიის შემადგენლობაში შევიდნენ როგორც რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ხელმძღვანელობა და პასუხისმგებელი თანამშრომლები, ისე სახელმწიფო დაწესებულებების, სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების, თბილისის საკრებულოსა და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების სამი სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლები. კომისიის შემადგენლობა შემდეგია:

- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი;
- საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო;
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი;
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი;
- გამოცდების ეროვნული ცენტრი;
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია;
- საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი;
- საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი;
- თბილისის საკრებულო;
- ქვემო ქართლის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია;
- სამცხე-ჯავახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია;
- კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია;
- საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია;
- ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი;
- საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა;
- სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო;

<sup>1</sup> საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N 362 დადგენილებით რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს სახელწოდება შეეცვალა და ეწოდა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი; ცვლილება 2014 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა.

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

უწყებათაშორისი კომისია თანამშრომლობს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, სახალხო დამცველის აპარატთან, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. კომისია სისტემატურად მართავს სხდომებს და სამუშაო შეხვედრებს.

2013 წელს გაწეული საქმიანობის ამსახველი კომპლექსური ანგარიში შემუშავებულია სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის წევრებისა და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ერთობლივი სამუშაო ჯგუფის ინტენსიური მუშაობის შედეგად.

აღსანიშნავია, რომ წინამდებარე ანგარიში ასახავს საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ განხორციელებულ საქმიანობას კონცეფციით განსაზღვრული ექვსი სტრატეგიული მიმართულებით: კანონის უზენაესობა, განათლება და სახელმწიფო ენა, მედია და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, პოლიტიკური ინტეგრაცია და სამოქალაქო მონაწილეობა, სოციალური და რეგიონული ინტეგრაცია, კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნება.

## I. კანონის უზენაესობა

კანონის უზენაესობა „შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. ამ მიმართულებით საქმიანობას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის და შინაგან საქმეთა სამინისტროები, ასევე, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების სამხარეო ადმინისტრაციები. წლის განმავლობაში უწყებათაშორისი კომისიის წევრებმა მოამზადეს და განახორციელეს სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რაც მიმართული იყო დასახული ამოცანების შესასრულებლად, მათ შორის: მომზადდა კანონპროექტი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, მიმდინარეობდა ბოშების რეგისტრაცია, ტარდებოდა ტრენინგები და სემინარები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისა და საჯარო მოხელეებისათვის.

### *თანასწორობის შესახებ ყოვლისმომცველი კანონპროექტის მომზადება*

2012 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტროში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც დაევალა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონპროექტის მომზადება. კანონპროექტი თავს უყრის საქართველოს კანონმდებლობაში არსებულ ანტიდისკრიმინაციულ დებულებებს და მათ ერთ სამართლებრივ აქტში აერთიანებს. ამგვარად, ხორციელდება ანტიდისკრიმინაციული დებულებების სისტემატიზაცია და მათი შესაბამისობაში მოყვანა საერთაშორისო სტანდარტებთან. კანონპროექტის თანახმად, იკრძალება ნებისმიერი საფუძვლით ჩადენილი დისკრიმინაცია. კანონპროექტით გათვალისწინებული აკრძალვები ვრცელდება როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორსა და ფიზიკურ პირებზე.

აღსანიშნავია, რომ კანონპროექტის შემუშავებაში აქტიურად იყო ჩართული როგორც სამთავრობო უწყებები, ისე ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსი. კანონპროექტის განხილვის მიზნით შეხვედრები შედგა ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან; რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებთან; ქალთა უფლებებსა და გენდერულ თანასწორობაზე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან. კანონპროექტი გაგზავნილი იქნა საერთაშორისო ექსპერტიზაზე გაერო-ში, ეუთო-სა და ევროპის საბჭოში. კანონპროექტს ასევე ჩაუტარდა საერთაშორისო ექსპერტიზა შვედი ექსპერტის მიერ, რომელიც მოწვეული იქნა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარის თომას ჰამარბერგის რეკომენდაციით. საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ექსპერტების შენიშვნები, წინადადებები და რეკომენდაციები ასახული იქნა კანონპროექტში.

*ბოშების რეგისტრაცია*

2013 წლის განმავლობაში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, არასამთავრობო ორგანიზაცია „ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრთან“ და უმცირესობის საკითხთა ევროპულ ცენტრთან (ECMI) თანამშრომლობით ბოშათა რეგისტრაციის საკითხზე მუშაობდა (ბოშების რეგისტრაციის პროცესი დაიწყო 2010 წელს). ჩატარებული საქმიანობის შედეგად დადასტურდა, რომ დოკუმენტირებასთან დაკავშირებული პრობლემა 81 ბოშას ჰქონდა. 18 ბოშას მოუგვარდა რეგისტრაციისა და პირადობის მოწმობების არქონის პრობლემა. 13 ბოშის მიმართ დადგენილი იქნა დაბადების იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი, ხოლო 2 ბოშას მიენიჭა მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსი.

2013 წელს არასამთავრობო ორგანიზაცია „ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრი“ ახორციელებდა 5 ბოშის საქმის შესწავლას და მონაცემების მოძიებას. ასევე, გადაწყდა, რომ დაბადების იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის მიზნით სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში მოხდებოდა საქმეების შეტანა.

*2013 წლის სტატისტიკური მონაცემები ბოშათა რეგისტრაციის შესახებ*

საქმის წარმოების კატეგორია	საერთო ჯამი	დასრულდა საქმის წარმოება	საქმის წარმოების პროცესშია
მოქალაქეობის დადგენა	11	11	0
მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსი	10	8	2
დაბადების ფაქტი	2	0	2
<b>საერთო ჯამი</b>	<b>23</b>	<b>19</b>	<b>4</b>

### ***საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს) საქმიანობა***

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის განვითარების 2013 წლის სტრატეგიაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ეთნიკური უმცირესობების უფლებების საკითხს. აღნიშნული თემა 2014 წლის სტრატეგიაშიც სათანადოდ აისახება.

#### ***შეხვედრა საქართველოს სახალხო დამცველთან***

სახალხო დამცველსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის 2010 წლის 4 თებერვალს დადებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში შედგა ყოველწლიური შეხვედრა შსს-ს აკადემიაში. სახალხო დამცველმა შსს-ს აკადემიის მსმენელებს ჩაუტარა მიმოხილვითი ლექცია უმცირესობების უფლებების დაცვის საკითხებზე. შეხვედრაში მონაწილეობდნენ აკადემიის ლექტორები და ხელმძღვანელი პირები.

#### ***შსს-ს აკადემიის გადამზადების სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამები***

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაატარა მთელი რიგი საგანმანათლებლო ღონისძიებები, მათ შორის, აკადემიის სასწავლო გეგმაში მნიშვნელოვანი ყურადღება და საათები დაეთმო ადამიანის უფლებების დაცვის სასწავლო პროგრამებს.

2013 წელს შსს-ს აკადემიაში არსებითად გაიზარდა საბაზისო სწავლების ხანგრძლივობა, რაც შესაბამისად აისახა ისეთ დისციპლინაზე, როგორცაა ადამიანის უფლებები, კერძოდ: ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევისა და რასობრივი დისკრიმინაციის, ასევე დისკრიმინაციის დაუშვებლობის საკითხებზე. დიდი ყურადღება ეთმობა, როგორც უბნის ინსპექტორთა, ისე საპატრულო პოლიციელთა მომზადებისა და გადამზადების სპეციალურ საგანმანათლებლო პროგრამებს. აგრეთვე, მიმდინარეობს მესაზღვრე პოლიციელთა გადამზადება; მომზადების სპეციალურ საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია ისეთი თემა, როგორცაა „პოლიცია მრავალეთნიკურ საზოგადოებაში“.

#### ***ტრენინგი უმცირესობების უფლებებსა და დისკრიმინაციის აკრძალვის საკითხებზე***

2013 წლის სექტემბერში არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“-ს მიერ დაიწყო პროექტის განხორციელება „თანასწორობის მხარდაჭერა განათლების საშუალებით“. მოცემული პროექტის ფარგლებში 2013 წლის ნოემბერ-დეკემბერში შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში ჩატარდა ტრენინგი უმცირესობების უფლებებსა და დისკრიმინაციის აკრძალვის საკითხებზე, რომელშიც მონაწილეობდა 60 მოქმედი პოლიციელი.

#### ***ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების (სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, კახეთი) სამხარეო ადმინისტრაციების საქმიანობა***

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციის მხრიდან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მიმართებებზე რეაგირება ხდებოდა კანონით დადგენილი პროცედურების დაცვით. უმცირესობების წარმომადგენლებს არ შექმნიათ ენობრივი ბარიერის პრობლემები, მათ შესაბამის ზეპირ განმარტებებს აძლევდნენ მშობლიურ ან მათთვის გასაგებ ენებზე, ხოლო წერილობითი პასუხები ეძლეოდათ სახელმწიფო ენაზე.

მუნიციპალიტეტების გამგეობებში მოქმედებს „ერთი ფანჯრის“ პრინციპი, რაც მოქალაქეებს ნაკლებ დროს აკარგინებს; სურვილის შემთხვევაში ისინი ხვდებიან შესაბამის სამსახურებს. სამხარეო ადმინისტრაციის სამსახურები კანონით დადგენილ ვადებში ახდენენ რეაგირებას მოქალაქეთა ზეპირ და წერილობით განცხადებებზე.

ქვემო ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციაში ჩატარდა გარკვეული ღონისძიებები კანონის უზენაესობის დაცვის კუთხით, კერძოდ, მუნიციპალიტეტების საჯარო მოხელეთა სამართლებრივი ცოდნის დონის ასამაღლებლად თვეში ერთხელ სისტემატურად ტარდებოდა საინფორმაციო შეხვედრები და ტრენინგები საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესასწავლად. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ახალგაზრდების აღზრდა-განვითარებას, მათი ცნობიერების ამაღლებას. მათთვის კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების განმარტების მიზნით ეწყობოდა სემინარები.

წარმატებით გააგრძელა მუშაობა მარნეულის იუსტიციის სახლმა, რაც საშუალებას აძლევდა მოქალაქეებს, მომსახურება მიეღოთ დაჩქარებული წესით.

კახეთის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ადგილობრივი ხელისუფლების მეშვეობით ეთნიკური უმცირესობების დისკრიმინაციული მოპყრობისაგან ეფექტიანი დაცვის უზრუნველსაყოფად ახორციელებდა ეთნიკური და რელიგიური შეუწყნარებლობისა და ქსენოფობიური დამოკიდებულების შესაძლო გამოვლინებათა სისტემატურ მონიტორინგს.

## II. განათლება და სახელმწიფო ენა

2013 წლის მონაცემებით, საქართველოში 213 საჯარო არაქართულენოვანი სკოლა და 77 არაქართულენოვანი სექტორი ფუნქციონირებს.

### ***პროგრამა „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“***

პროგრამა გულისხმობს ქართული ენისა და ლიტერატურის კვალიფიციური მასწავლებლების მივლინებას სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული სოფლების იმ არაქართულენოვან სკოლებში, სადაც ქართული ენის ცოდნისა და სწავლების საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დგას.

2009-2013 წლების განმავლობაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა კონკურსში მონაწილეობა მიიღო 1000-ზე მეტმა პირმა, მათგან ტესტირება და გასაუბრება წარმატებით მხოლოდ 92-მა ტრენერ-მასწავლებელმა გაიარა, რის შედეგადაც 78 პედაგოგი დასაქმდა. არჩეული ტრენერ-მასწავლებლები გადაიან შემდეგ ტრენინგებს: „ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების მეთოდიკა“ (50 სთ), „ეთნიკური და რელიგიური ტოლერანტობა“ (5 სთ), აზერბაიჯანული ან სომხური ენის შემსწავლელი სწრაფი კურსი (50 სთ).



ამ ტრენინგების გავლის შემდეგ პედაგოგები ნაწილდებიან სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული სოფლების სკოლებში. პროგრამაში მონაწილე მასწავლებლები, საათობრივი ანაზღაურების გარდა, სახელმწიფო პროგრამიდან იღებენ ხელფასს 1000 ლარის ოდენობით. პროგრამა ხორციელდება შემდეგ მუნიციპალიტეტებში: ახალქალაქი, ნინოწმინდა, წალკა, ბოლნისი, დმანისი, გარდაბანი, მარნეული, საგარეჯო.

2013 წელს ანალოგიური კონკურსის საფუძველზე შეირჩა 10 მასწავლებელი, მათგან დასაქმდა 8 სერტიფიცირებული პედაგოგი. პროგრამის მონაწილე მასწავლებლები, სკოლებში ქართული ენის სწავლების პარალელურად, ატარებდნენ ტრენინგებს მასწავლებლებისთვის, ორგანიზებას უწევდნენ სხვადასხვა ღონისძიებებს (საახალწლო, საზაფხულო, საშემოდგომო დღესასწაულებს, პოეტებისა და მწერლებისადმი მიძღვნილ დღეებს, რელიგიურ/ეთნიკურ დღესასწაულებს, გამოფენებს, კონკურსებს, სპექტაკლებს და ა.შ), რომელთა მიზანიც იყო ადგილობრივ თემში ქართული ენის შესწავლის მოტივაციის გაღვივება და სახელმწიფო პროგრამაში ჩართულობის გაზრდა.

ახალი პედაგოგების ჩასვლის შემდეგ სოფლებში შეიქმნა ქართული ენის შემსწავლელთა ჯგუფი – „ქართული ენის კლუბი“ სადაც იკრიბებიან აბიტურიენტები, მასწავლებლები, მშობლები და თემის სხვა წარმომადგენლები, რომლებიც საუბრობენ ქართულად, ერთად ადგენენ ტექსტებს, ავითარებენ საკომუნიკაციო ენას. ზოგიერთ სოფელში მსურველთა რაოდენობა იმდენი იყო, რომ მასწავლებელს რამოდენიმე ჯგუფის დაკომპლექტება მოუწია. პროგრამაში ჩართული მასწავლებლის მოვალეობაა ისიც, რომ ჩაუტაროს ტრენინგები ადგილობრივი ქართული ენის მასწავლებლებს და იზრუნოს მათ პროფესიულ განვითარებაზე. კლუბების მოსაწყობად და სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა პროგრამაში ჩართულ ახალ სკოლებს გადასცა ფერადი და მაღალი პოლიგრაფიული ხარისხით შესრულებული დიდი ბანერები.

### *საზაფხულო სკოლა*

2013 წლის 15 ივლისიდან 5 აგვისტომდე ბაკურიანში (ორ ნაკადად) შედგა საზაფხულო სკოლა, რომელშიც ჩართული იყო 216 მონაწილე (36 მასწავლებელი, 180 აზერბაიჯანელი და სომეხი მოსწავლე). პროგრამა ითვალისწინებდა ინტერაქტიული მეთოდით (სპორტულ-გამაჯანსაღებელი ვარჯიშებით, თამაშებით, მხიარული სტარტებით) ქართული ენის სწავლებას. საზაფხულო სკოლაში კომუნიკაციის ერთადერთი ენა არის ქართული, რაც ააქტიურებს სახელმწიფო ენის სწავლებას.

### *ქართული ენის სახლები*

2012 წლიდან მიმდინარეობს პროგრამის „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“ მასწავლებლების დასაქმება ქართული ენის სახლებში. პროგრამის მონაწილე ტრენინგ-მასწავლებლები ინტენსიურად უტარებენ ტრენინგებს და ასწავლიან ქართულს ადგილობრივ მოსახლეობას.

2013 წელს იორმულანლოსა და მარნეულის ქართული ენის სახლებში დასაქმდნენ ზემოაღნიშნული პროგრამის ტრენერ-მასწავლებლები, ისინი აგრძელებენ ადგილობრივი მასწავლებლებისთვის და თემის წარმომადგენლებისთვის ქართული ენის სწავლებას.

### *გაცვლითი და დამეგობრების პროექტები*

პროგრამის "ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა" მონაწილეთა 53% ჩართული იყო გაცვლითი პროგრამების დაგეგმვასა და განხორციელებაში. სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი სკოლები დამეგობრდნენ სხვადასხვა რეგიონის ქართულენოვან სკოლებთან. ტრენერ-მასწავლებლებმა მოიძიეს პარტნიორი სკოლები საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში (თბილისი, გურჯაანი, გორი, გარდაბანი, საგარეჯო, ზესტაფონი, ხაშური, დაბა ჩაქვი და სხვ.) და მოაწყვეს გაცვლითი ღონისძიებები: ერთმანეთთან ვიზიტი და თანაცხოვრება 1 კვირის განმავლობაში; გაკვეთილებზე დასწრება; საერთო კონცერტის/სპექტაკლის მომზადება; სხვადასხვა კერძების გაცნობა; ქართული მართლმადიდებლური, სომხური სამოციქულო ეკლესიების, მეჩეთებისა და სხვა კულტურული ძეგლების დათვალიერება. 2013 წელს აღნიშნული პროგრამის ბიუჯეტმა შეადგინა 1435803 ლარი.

### *პროგრამა "ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის"*

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ახორციელებს პროგრამას "ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის". პროგრამის მიზანია საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია და არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენის სწავლა/სწავლების ხარისხის გაუმჯობესება. ამ მიზნის მისაღწევად პროგრამის ფარგლებში ორი ძირითადი მიმართულებაა: პედაგოგების გაგზავნა არაქართულენოვან სკოლებში და სასწავლო რესურსების შექმნა.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 2013 წლის განმავლობაში დამხმარე პედაგოგების გაგზავნა არაქართულენოვან სკოლებში სამ ეტაპად მოხდა:

1. 2012 წლის ბოლოს კონკურსის შედეგად შეირჩა 56 მონაწილე, რომლებსაც 2013 წლის იანვრის თვეში ჩაუტარდათ ინტენსიური ტრენინგი პროფესიულ უნარებში, კულტურულ მრავალფეროვნებაში, მულტილინგვურ მეთოდოლოგიასა და ქართული ენის სწავლების თანამედროვე მეთოდებში. ტრენინგების შემდეგ შერჩეული პედაგოგები განაწილდნენ სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონების არაქართულენოვან სკოლებში.
2. 2013 წლის ივნისში პროგრამის ფარგლებში გამოცხადდა კონკურსი, რომლის ფარგლებში შეირჩა 128 მონაწილე.
3. პროგრამის საჭიროებიდან გამომდინარე, ოქტომბრის თვეში კვლავ გამოცხადდა მონაწილეების შესარჩევი კონკურსი; შერჩეული მონაწილეების ერთი ნაკადი ნოემბრის თვიდან გაიგზავნა რეგიონებში.


რეგიონში გამგზავრებამდე ყველა მონაწილეს ჩაუტარდათ ათდღიანი მომზადება შემდეგ თემებზე:

- ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების მეთოდოლოგია;


- კლასის მართვა და პროფესიული უნარები;
- კულტურული მრავალფეროვნება და თანაცხოვრება;
- ინკლუზიური სწავლება;
- სასწავლო რესურსების გამოყენება სწავლის პროცესში;
- გუნდური მუშაობა და ლიდერობა სასკოლო ინიციატივების დანერგვის პროცესში.

ამ ეტაპზე პროგრამის ფარგლებში დასაქმებულია 274 ადამიანი. ისინი ეხმარებიან ადგილობრივ მასწავლებლებს საგაკვეთილო პროცესის წარმართვაში და ქართული ენის გაკვეთილის ჩატარებაში. ეს ხელს უწყობს, ერთი მხრივ, მოსწავლეთა და პედაგოგთა ქართული ენის ცოდნის დონის გაუმჯობესებას და, მეორე მხრივ, მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ადგილობრივი მოსახლეობის ქართული ენის ცოდნის დონეს.

სქემა 1: პროგრამაში ჩართული არაქართულენოვანი სკოლების რაოდენობა (%)



## სქემა 2: პროგრამაში ჩართული სკოლები რეგიონების მიხედვით



რეგიონებში პროგრამის მონაწილეების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

- ადგილობრივ პედაგოგთან ერთად ქართული ენის გაკვეთილის დაგეგმვა და წარმართვა;
- კლასგარეშე აქტივობების განხორციელება;
- ქართული ენის წრეების/კლუბების დაარსება;
- მასპინძელი ოჯახისთვის ქართული ენის სწავლება.

### *„ქართულის, როგორც მეორე ენის“ სასწავლო მასალების მომზადება*

2013 წელს შეიქმნა საშუალო საფეხურის X-XII დონის ქართული ენის სახელმძღვანელო არაქართულენოვანი მოსწავლეებისათვის. სახელმძღვანელოს კომპლექტი შედგება მოსწავლის წიგნის, მოსწავლის რვეულისა და მასწავლებლის სახელმძღვანელოსგან. მომზადდა თემატური აუდიომასალა კლასში სამუშაოდ. სასწავლო მასალების სახით შეიქმნა ასევე სპეციალური კომპიუტერული თამაშები, რომლებიც განკუთვნილია არაქართულენოვანი მოსწავლეებისთვის და შეესაბამება ახალი ქართული ენის სახელმძღვანელოს თემატიკას. სახელმძღვანელოს აღნიშნული დონეების მოსწავლის წიგნი და მოსწავლის რვეული დაიბეჭდა 20 000-იანი ტირაჟით, ხოლო მასწავლებლის წიგნი აუდიომასალასთან ერთად – 2 000-იანი ტირაჟით.

2013 წელს დამატებით დაიბეჭდა „ქართული ენის“ I-IV დონის სახელმძღვანელოები: I დონის მოსწავლის წიგნი – 4 000-იანი ტირაჟით, მოსწავლის რვეული – 4 500-იანი ტირაჟით. II-IV დონეების მოსწავლის წიგნი დაიბეჭდა 3 000-იანი ტირაჟით, მოსწავლის რვეული – 4 500-იანი ტირაჟით.

2013 წელს I-IX დონეების სახელმძღვანელოები დაურიგდა ყველა არაქართულენოვან სკოლას მათ მიერ მოთხოვნილი რაოდენობების შესაბამისად.

მულტილინგვური განათლების საპილოტე პროგრამაში ჩართულია ოთხი სკოლა: ვახტანგისის №1, თაზაქენდის, აქთაქლიისა და ყარაჯალის სკოლები. ყველა ამ სკოლაში დარიგდა სახელმძღვანელო „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“ (დონეების მიხედვით; სულ 9 დონე). საგანმანათლებლო რესურსცენტრში ბილინგვური სწავლების კოორდინატორი ეტაპობრივად ატარებდა ტრენინგებსა და შეხვედრებს, რომელიც ეხებოდა ბილინგვური სწავლების ახალ მეთოდებსა და მიდგომებს („ენობრივი კომპეტენციის შეფასება და ტესტირება“, „კითხვითი კომპეტენციების განვითარება „კითხვის კიბის“ მეშვეობით“, „ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების მეთოდები“).

### **ეროვნული სასწავლო ოლიმპიადები**

ეროვნული სასწავლო ოლიმპიადების ჩატარება დაიწყო 2009 წლიდან და მისი მიზანია სასწავლო პროცესის სტიმულირება – სრულყოფა, სწავლისადმი ინტერესის გაღვივება, ნიჭიერი მოსწავლეების გამოვლენა და წახალისება, აგრეთვე საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრების კანდიდატთა გამოვლენა.

2012-2013 სასწავლო წელს ეროვნული სასწავლო ოლიმპიადები ჩატარდა საქართველოში არსებულ ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, მათ შორის, არაქართულენოვან სკოლებში. აღნიშნულ სკოლებში ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა ჩატარდა სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე, ხოლო არაქართულენოვანი მოსწავლეები გავიდნენ ქართული ენის ოლიმპიადაზეც.

ქართული ენა არაქართ.	1749
საგნები აზერ.	2110
საგნები სომხ.	3177
საგნები რუს.	1296

მესამე ტურის საფუძველზე გამოვლინდნენ გამარჯვებული მოსწავლეები – მათ შორის, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებიც, კერძოდ: ქართულ ენაში გამარჯვებულებს შორის იყო ხუთი სომხურენოვანი და ერთი აზერბაიჯანულენოვანი მოსწავლე, უცხო ენაში გამარჯვებულებს შორის იყო სამი სომხურენოვანი მოსწავლე.

### **სკოლის გამოსაშვები გამოცდები**

აღსანიშნავია, რომ 2012-2013 სასწავლო წელს სკოლის გამოსაშვები გამოცდები ცენტრალიზებულად არ ჩატარებულა. გამოცდებს უშუალოდ სკოლები ატარებდნენ. 2012-2013 სასწავლო წლის სკოლის გამოსაშვები გამოცდების საფუძველზე სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი აიღო:

- სომხურენოვანი მოსწავლე – 1257;
- აზერბაიჯანულენოვანი მოსწავლე – 2151;
- რუსულენოვანი მოსწავლე – 1209.

### **ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება**

უმაღლეს სასწავლებლებში ქართული ენის მომზადების პროგრამაზე ჩაბარება შეუძლია საქართველოს მოქალაქეს, რომელიც ზოგად უნარებს ჩააბარებს სომხურ, აზერბაიჯანულ, აფხაზურ ან ოსურ ენაზე. ენის ერთწლიანი მოსამზადებელი კურსის გავლისა და 60 კრედიტის დაგროვების შემდეგ სტუდენტები იმავე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აგრძელებენ სწავლას მათთვის სასურველ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე (თუ სტუდენტი გრანტს მოიპოვებს ქართული ენის მომზადების პროგრამაზე, ბაკალავრიატში სწავლის გაგრძელების შემთხვევაში ის ფინანსდება 2250 ლარით სწავლების დასრულებამდე).

2013 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვა:

- ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი ტესტის საფუძველზე – 704 აბიტურიენტი;
- ზოგადი უნარების სომხურენოვანი ტესტის საფუძველზე – 186 აბიტურიენტი.

სახელმწიფო სასწავლო გრანტით 2013 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე დაფინანსდა:

- ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი ტესტის საფუძველზე – 97 აბიტურიენტი;
- ზოგადი უნარების სომხურენოვანი ტესტის საფუძველზე – 91 აბიტურიენტი.

### **ტოლერანტობისა და კულტურათაშორისი დიალოგის განვითარება**

ტოლერანტობისა და კულტურათაშორისი დიალოგის განვითარების მიმართულებით განხორციელდა სხვადასხვა პროექტი და პროგრამა. მათ შორის აღსანიშნავია სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებული პროექტი „მეგობარი სკოლები“, რაც მიზნად ისახავდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში არსებული სკოლების დამეგობრებას და მათ შორის ხანგრძლივი ურთიერთობების დამყარებას. პროექტში ჩართული იყო თბილისის საჯარო სკოლები და რეგიონებში არსებული შემდეგი საჯარო სკოლები: მარნეულის რაიონის სოფელ ალგეთის, წალკის რაიონის სოფელ ხაჩკოვის, ახმეტის რაიონის სოფელ დუისის, საგარეჯოს რაიონის სოფელ ლამბალოსა და ახალქალაქის რაიონის სოფელ კარტიკამის.

2011-2013 წლებში ა(ა)იპ “ზოლნისის ენის სახლმა“ არასამთავრობო ორგანიზაცია „მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიურ ინსტიტუტთან“ ერთად პროგრამის “ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში ახალგაზრდების ინტეგრაცია საგანმანათლებლო და

კულტურული ინიციატივების გზით“ ფარგლებში განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებები ბოლნისსა და ნინოწმინდაში. შეიქმნა “ბოლნისის მოსწავლე ახალგაზრდობის ინტერკულტურული ცენტრი“, სადაც ორი წლის განმავლობაში დაახლოებით 120-მა აზერბაიჯანელმა ახალგაზრდამ გაიარა ქართული ენის კურსი. პროექტის ფარგლებში ჩატარდა კონკურსები: “ჩემი საყვარელი ქართული მოთხრობა” და “ჩემი საყვარელი აზერბაიჯანული სიტყვა”; გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ ფულადი პრემიებით, სერტიფიკატებითა და საზაფხულო ბანაკების საგზურებით. ბოლნისში მცხოვრები აზერბაიჯანელი და ქართველი ახალგაზრდები, ასევე ნინოწმინდის მცხოვრებელი სომხურენოვანი ახალგაზრდები მონაწილეობდნენ საზაფხულო ბანაკში ანაკლიაში (2012 წ.) და ლოპოტაზე (2013 წ.). ახალგაზრდები დასვენებასთან ერთად მონაწილეობდნენ ტრენინგებში, რომელთა თემებიც იყო: “ტოლერანტობა”, “რას ნიშნავს, იყო მოქალაქე?”, “სახელმწიფო ენა და უმცირესობების უფლებები”, “CV და სამოტივაციო წერილის წერა”, “კონფლიქტის მოგვარების ალტერნატიული გზები”.

“ბოლნისის მოსწავლე ახალგაზრდობის ინტერკულტურული ცენტრის” ახალგაზრდები მონაწილეობდნენ პროექტში “SOS-CULTURAL“, რომელიც წელიწადნახევარი (2012-2013) გაგრძელდა და ერთდროულად სომხეთსა და საქართველოში მიმდინარეობდა. ტრენინგების ციკლში (ტოლერანტობა, გუნდური მუშაობა, მრავალფეროვნება, ეკოლოგია, კომუნიკაცია) მონაწილეობდნენ ბოლნისელი ქართველი, ქვემო ბოლნისელი აზერბაიჯანელი და სოფელ ბოლნისში მცხოვრები სომეხი ახალგაზრდები. პროექტს ახორციელებდა ორგანიზაცია “DVV International.“

### III. მედია და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა

#### *საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი*

საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა, რომელსაც კანონმდებლობით აქვს ვალდებულება, მოამზადოს გადაცემები უმცირესობათა ენებზე, 2013 წელს მაყურებელს შესთავაზა რამდენიმე განახლებული ტელეპროექტი. ასევე ნიშანდობლივია, რომ ყოველდღიურ მაუწყებლობას აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე 2013 წლის 1 ივნისიდან დაემატა რუსულენოვანი საინფორმაციო გამოშვებაც. აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივი მაუწყებელი ყოველდღე აშუქებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს და მსოფლიო ამბებს 5 ენაზე უკვე პირდაპირი (ცოცხალი) ეთერით მე-2 არხზე, საუკეთესო დროს – 20:00-21:00 სთ.

ეთნიკური უმცირესობების ენებზე მაუწყებლობის რედაქციებში ტექნიკური რესურსი გაიზარდა, დაემატნენ რედაქტორები და წამყვანები. გარდა ამისა, გაგრძელდა თანამშრომლობა რეგიონულ ტელეკომპანიებთან, რომლებიც ავრცელებენ საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო გამოშვებებს სხვადასხვა ენებზე.

2012-2013 წწ. საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ სატელევიზიო სეზონისთვის შექმნილი იქნა ადგილობრივი ტელეკომპანიების საუკეთესო საეთერო დრო (ე. წ. „პრაიმ თაიმი“ – 20:00 სთ-დან 23:00 სთ-მდე).

ქვემო ქართლის ტელერადიოკომპანიის რუსთავის „მე-4 არხზე“ და ბოლნისის „ბოლნელ“-ზე ეთერში გადის აზერბაიჯანულენოვანი „მომბე“. ზუგდიდის „ოდიშზე“ – აფხაზურენოვანი „მომბე“, ხოლო ნინოწმინდის ტელეკომპანია „ფარვანა“, „ახალციხის მე-9 არხი“ და ახალქალაქის „ატვ 12“-ზე ავრცელებენ სომხურენოვან „მომბე“-ს. ეს პროდუქცია მათ მიეწოდებათ სპეციალური ინტერნეტსერვისის მეშვეობით.

ყოველდღე მზადდება საინფორმაციო ბლოკი, რომელიც 10-15 საინფორმაციო სიახლეს მოიცავს; თითოეული სიუჟეტის ქრონომეტრაჟი საშუალოდ 1 წუთია. ერთ ენაზე გამოშვება საშუალოდ 9-10 წუთს გრძელდება. ადგილობრივ სადგურებს აქვთ გადაცემების განმეორებითი ტრანსლირების საშუალება დილისა და საღამოს საათებში. გარდა ამისა, ეროვნული უმცირესობების რედაქციებს თავად აქვთ შესაძლებლობა, მოამზადონ რეპორტაჟები მათთვის საინტერესო თემებზე, რაც 2013 წელს არაერთხელ განახორციელეს.

### **რადიომაუწყებლობა**

ეთნიკური უმცირესობების ენებზე მაუწყებლობა მიმდინარეობს „პირველი რადიოს“ ეთერით. ამჟამად საზოგადოებრივი მაუწყებლის რადიოეთერში გადის „მომბის“ ახალი ამბების კოლაჟის აუდიოვერსია ეთნიკური უმცირესობების ენებზე. საინფორმაციო გამოშვებებს აფხაზურ, ოსურ, აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენებზე კვირაში ერთხელ ემატება ასევე რადიოპროგრამა ქურთულ ენაზეც.

### *თოქმოუ "ჩვენი ეზო"*

მაყურებლის ინტერესის გათვალისწინებით თოქმოუ „ჩვენმა ეზომ“ 1 ოქტომბრიდან შეცვალა ფორმატი. ამჟამად ის ეთერში გადის თვეში 4-ჯერ, როგორც სრულყოფილი ფილმების ციკლი სხვადასხვა ეთნიკური, რელიგიური ჯგუფების შესახებ, რომლებიც ცხოვრობენ საქართველოში. გადაცემას ჰყავს ორი წამყვანი. 2013 წელს შემოქმედმა ჯგუფმა მოამზადა ფილმები, რომლებშიც ასახული იყო საქართველოში მცხოვრები ქურთების, ასურელების და ებრაელების ისტორია და დღევანდელი დღე, ასევე „ჩვენი ეზო“-ს მხრიდან შემოთავაზებული იქნა ფოტოხელოვნების, ხალხური საკრავებისა და ეროვნული სამოსის ისტორია და მრავალი სხვა საინტერესო თემა.

### *არჩევნები და საზოგადოებრივი მაუწყებელი*

ამომრჩევლისთვის თანაბარი პირობების უზრუნველსაყოფად საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში ეროვნული უმცირესობების რედაქცია აქტიურად თანამშრომლობდა ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან. ითარგმნა ცესკო-ს წინასაარჩევნო საინფორმაციო კლიპები სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი დებატის სურდოთარგმანი, მათი გავრცელება ადგილობრივი ტელეკომპანიებით ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში. გაწეული საქმიანობისთვის ეროვნული უმცირესობების რედაქციამ ოფიციალური წერილობითი მადლობა მიიღო ცესკო-ს თავმჯდომარისგან.



**საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ ეთნიკური უმცირესობებისთვის გამოყოფილი დრო (2013 წელი)**

გადაცემების ფორმატი	დასახელება	ხანგრძლივობა, წთ.	რაოდენობა	ჯამი, სთ.
სატელევიზიო საინფორმაციო	მომხმე ეთნიკური უმცირესობის ენაზე	55	255	233
რადიო საინფორმაციო	მომხმე ეთნიკური უმცირესობის ენაზე	55	255	233
სატელევიზიო თოქ-შოუ	„ჩვენი ეზო“	40	50	33
რადიო საინფორმაციო	ქართულ ენაზე	30	52	26
სულ წელიწადში, საათი				525

**რეგიონული ტელეარხები**

სააქციო საზოგადოება “ქვემო ქართლის ტელეკომპანია” ფლობს სამ სიხშირეს: რუსთავის, მარნეულისა და ბოლნისის. ტელეკომპანიის საინფორმაციო სამსახურის ჯგუფი ყოველდღიურად პირდაპირ ეთერში აშუქებს რეგიონის მნიშვნელოვან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებს. ტელეკომპანიის საინფორმაციო, შემეცნებითი, ანალიტიკური, გასართობი, მუსიკალური, რელიგიური, საბავშვო თუ სხვა პროგრამები განკუთვნილია საზოგადოების სხვადასხვა მიზნობრივი სეგმენტისთვის.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში უკანასკნელ წლებში გაუმჯობესდა ეთნიკური უმცირესობებისთვის ინფორმაციის მიწოდება მშობლიურ ენაზე. ახალციხეში ყოველდღიურად მაუწყებლობს ტელეკომპანია „იმპერია“. ტელეკომპანიის დაფარვის ზონაში არ შედის ჯავახეთის რაიონები, მაგრამ კვირაში ერთხელ ხდება „იმპერიის“ გადაცემების ჩვენება ტიტრებით ახალქალაქისა და ნინოწმინდის ტელეკომპანიების – „ფარვანასა“ და „ატვ 12“-ის მეშვეობით, ეს უკანასკნელნი კი მაუწყებლობენ კვირაში 5 დღის განმავლობაში და ადგილობრივი კორესპონდენტების მიერ მომზადებული მასალების გარდა, გადასცემენ ცენტრალური არხების საინფორმაციო პროგრამებს სინქრონული თარგმანით. საინფორმაციო-ანალიტიკური თოქშოუს მეშვეობით საზოგადოებას საშუალება აქვს, თავად მიიღოს მონაწილეობა დისკუსიებში საზოგადოებისა და ხელისუფლების პირველ პირებთან ერთად. ტელეკომპანია მუშაობს 24-საათიანი რეჟიმით და მაყურებელს სთავაზობს სხვადასხვა სახისა და თემატიკის სატელევიზიო პროექტებს: საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, გასართობ, შემეცნებით, მხატვრულ და სარეკლამო პროდუქციას.

## **ბეჭდვითი მედია**

2013 წელს „ეროვნული უმცირესობების კულტურის ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში პრიორიტეტულ მიმართულებებად დარჩა გაზეთების – „ვრასტანისა“ და „გურჯისტანის“ მხარდაჭერა. ამასთან, სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი გაზეთების გამოცემას დაემატა რუსულენოვანი გაზეთების – „სვობოდნაია გრუზიასა“ და „ვეჩერნი ტბილისის“ გამოცემა, რომელიც ხელს უწყობს საქართველოში ეროვნულ უმცირესობათა ინფორმირებულობის ამაღლებასა და საზოგადოებაში მათ ინტეგრაციას. აღნიშნული ბეჭდვითი პრესა მოიცავს ინფორმაციას პოლიტიკურ, სოციალურ-კულტურულ და ეკონომიკურ სფეროებზე და ვრცელდება საქართველოს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში.

2013 წელს გამოიცა სომხურენოვანი, აზერბაიჯანულენოვანი და რუსულენოვანი გაზეთების – „ვრასტანის“, „გურჯისტანისა“ და „სვობოდნაია გრუზიას“ 40-40 და 29 ნომერი, ხოლო გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ საიუბილეო ნომერი (პირველი ნომრის გამოსვლიდან 90 წლისთავის აღსანიშნავად). ასევე ოქტომბერ-დეკემბრის ნომრებს დაემატა ჩანართი „ქართული კულტურა: გუშინ, დღეს, ხვალ“. გაზეთი ვრცელდება მთელ საქართველოში და საბერძნეთშიც.

## **რეგიონული პრესა**

მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ხელშეწყობით აზერბაიჯანულ სოფლებში მთელი წლის განმავლობაში ვრცელდებოდა აზერბაიჯანულენოვანი გაზეთები: „რეგიონ პრესი“, „ზია“, „კონგრესი“, „ოზანი“, „თეთრიწყაროს მაცნე“. რუსთავში ყოველთვიურად გამოდის აზერბაიჯანული გაზეთი „სინათლის სიტყვა“, რომელიც ვრცელდება ქალაქში მცხოვრებ აზერბაიჯანულ მოსახლეობაში.

კახეთის მხარის მუნიციპალიტეტებში ვრცელდება შემდეგი ბეჭდვითი და ელექტრონული მედიასაშუალებები: გაზეთები „გარეჯის მაცნე“, „ყვარელი“; გაზეთი „შირაქი“ და ინტერნეტგაზეთი „ქიზიყი“ (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი), გაზეთი „სპექტრი“ (გურჯაანის მუნიციპალიტეტი); შექმნილია ინტერნეტგვერდი „www.signage.com.ge“, მათი მეშვეობით შუქდება ადგილობრივი ეთნიკური უმცირესობების პრობლემები და ასევე ხდება მათი ინფორმირება სხვადასხვა პროექტებისა თუ ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ.

## **IV. პოლიტიკური ინტეგრაცია და სამოქალაქო მონაწილეობა**

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია აქტიურად მუშაობს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ამომრჩევლებისთვის თანაბარი საარჩევნო გარემოს შექმნაზე. 2012 წელს ცესკო-ში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთათვის საარჩევნო პროცესების გამარტივებისა და ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც შეიმუშავა 2012-2014 წლების სამოქმედო გეგმა. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში

შედიან ადმინისტრაციის თანამშრომლები, სახალხო დამცველის ოფისის, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

### ***ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მონაწილეობა***

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთა არჩევნებში სრულფასოვანი მონაწილეობისა და მათთვის თანაბარი საარჩევნო გარემოს შექმნის მიზნით დაიგეგმა შემდეგი ღონისძიებები:

#### ***ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთა განათლება***

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა (სასწავლო ცენტრი) საგრანტო კონკურსის ფარგლებში დააფინანსა 5 არასამთავრობო ორგანიზაცია.

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით სასწავლო ცენტრმა საგრანტო კონკურსის საშუალებით დააფინანსა 6 არასამთავრობო ორგანიზაცია. აღსანიშნავია, რომ წელს პირველად განხორციელდა ბოშათა თემის ინფორმირების კამპანია საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით.

ცესკო-სთან თანამშრომლობით, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდმა (IFES) ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთა ინფორმირების მიზნით დააფინანსა ორი არასამთავრობო ორგანიზაცია.

#### ***ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთა ინფორმირება***

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთა ინფორმირების მიზნით სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ითარგმნა ცესკო-ს 11 სარეკლამო რგოლი, რომელიც გადაიცა სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონების ტელევიზიების ეთერში.

ამომრჩეველთა ინფორმირების მიზნით ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებგვერდზე ([www.cesko.ge](http://www.cesko.ge)) ბანერში „ეთნიკური უმცირესობები“ განთავსდა 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ნათარგმნი საარჩევნო მასალები. აღნიშნული ინფორმაცია დამატებით განთავსდა სოციალურ ქსელში, ცესკო-ს ოფიციალურ Facebook გვერდზე.

ასევე, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზე ([www.cesko.ge](http://www.cesko.ge)), ამომრჩეველთა ერთიან სიაში არსებული მონაცემები ხელმისაწვდომი გახდა კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მცხოვრები ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელი ამომრჩეველებისათვის სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

საპრეზიდენტო არჩევნებისთვის კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველებს პირადი მონაცემების მიხედვით ორ ეტაპად დაურიგდა ამომრჩევლის მონაცემთა ბარათი, რომლის მიზანს წარმოადგენდა ამომრჩევლის ინფორმირება კენჭისყრის დღეს ხმის მიცემის საარჩევნო ოლქისა და უბნის ადგილმდებარეობის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ამომრჩევლის მონაცემები იქნებოდა არაზუსტი ან არასწორი, დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეეძლოთ

ცესკო-ს კონტაქტ-ცენტრის ოპერატორების დახმარებით, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. ასევე, ამომრჩევლის მონაცემთა ბარათთან ერთად მე-2 ეტაპზე მოსახლეობას დაურიგდა ამომრჩევლის სამახსოვრო ფლაერი (სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე), რომელშიც აღწერილი იყო კენჭისყრის დღის პროცედურები.

### ***ეთნიკური უმცირესობების ენებზე ნათარგმნი საარჩევნო დოკუმენტაცია***

საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებისთვის 73 საოლქო საარჩევნო კომისიაში შეიქმნა 3655 საარჩევნო უბანი, მათ შორის – 338 უბანი ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში. ეთნიკური უმცირესობებისთვის თანაბარი საარჩევნო გარემოს შექმნის მიზნით კომისიების 1502 სომეხი და 996 აზერბაიჯანელი წევრისთვის ითარგმნა და დაიბეჭდა საარჩევნო დოკუმენტაცია. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ამომრჩევლებისთვის კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში ითარგმნა და დაიბეჭდა სხვადასხვა სახის საარჩევნო დოკუმენტაცია. საარჩევნო დოკუმენტაცია ითარგმნა ცესკო-სა და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოს გაერო-ს ასოციაციასთან (UNAG) თანამშრომლობით და დაიბეჭდა გაერო-ს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით.

### ***შეხვედრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩევლებთან რეგიონებში***

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების სამოქალაქო, პოლიტიკური და სოციალური ინტეგრაციის უზრუნველყოფის მიზნით გაიმართა შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობასთან ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში: მარნეული (სოფ. სადახლო), წალკა (სოფ. აიაზმა), ბოლნისი (სოფ. ფარიზი, ცურტავი და ნახიდური), გარდაბანი (სოფ. ქესალო) და ახალციხე.

აზერბაიჯანელი და სომეხი წარმომავლობის ამომრჩევლებმა მიიღეს ინფორმაცია ცესკო-ს მიერ 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ეთნიკური უმცირესობების საარჩევნო პროცესებში ჩართვის მიზნით დაგეგმილი ღონისძიებებისა და განხორციელებული აქტივობების, ასევე, საარჩევნო პროცედურების და არჩევნებში მათი მონაწილეობის მნიშვნელობის შესახებ. ასევე, შეხვედრები გაიმართა საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ოს, ჩეჩენ, ქისტ და ბოშა ამომრჩევლებთან. საქართველოში მცხოვრები ბოშების სამოქალაქო თვითშეგნების ამაღლების მიზნით გარდაბნის რაიონის სოფ. გაჩიანში გაიმართა საინფორმაციო სახის შეხვედრა. აღნიშნული შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა ბოშათა თემის მოტივაციის ამაღლება და საარჩევნო პროცესებში მათი გააქტიურება.

ჩეჩენი და ქისტი მოსახლეობისთვის სოფ. დუისში (პანკისის ხეობა) ჩატარდა საინფორმაციო კამპანია. სადაც შეხვედრის მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია კენჭისყრის დღისა და საარჩევნო პროცედურების შესახებ.

ყვარლის რაიონის სოფ. მთისძირში გაიმართა შეხვედრა ეთნიკურად ოსი და შერეული (ქართულ-ოსური) ოჯახების წარმომადგენლებთან. შეხვედრის მონაწილეები გაეცნენ

ინფორმაციას საარჩევნო გარემოს, არჩევნების, ხმის მიცემის წესებისა და პროცედურების შესახებ.

## V. სოციალური და რეგიონული ინტეგრაცია

### ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანდაცვითი თუ სოციალური სახელმწიფო პროგრამები ერთნაირად ფარავს საქართველოს ყველა მოქალაქეს, მიუხედავად მათი ეთნიკური, სოციალური თუ რელიგიური წარმომავლობისა. თუმცა, სახელმწიფო გარანტიებით სარგებლობის ხელმისაწვდომობა დამოკიდებულია მოქალაქეთა ინფორმირებულობის ხარისხზე, რისთვისაც მნიშვნელოვანი ფაქტორია შესაბამის სერვისცენტრებთან ოპერატიული კომუნიკაციის დამყარება და კუთვნილი მომსახურების მიღება. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების გარკვეული ნაწილისთვის სახელმწიფო ენის არცოდნა ინფორმირებულობისა და სახელმწიფო გარანტიებით სარგებლობის სერიოზულ ბარიერს ქმნის, რაც ჯერ კიდევ იკვეთება კომპაქტურად ჩასახლებულ რეგიონებში. ამდენად, სამინისტროს მიერ განხორციელებული პროექტების ძირითად მიზანს არაქართულენოვანი მოსახლეობისთვის საინფორმაციო კამპანიის წარმართვა წარმოადგენს და უკავშირდება მათ ინფორმირებას სახელმწიფო პროგრამებში დაგეგმილი და განხორციელებული სიახლეების შესახებ.

### *ეთნიკური უმცირესობების ინფორმირება 2013 წლის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის შესახებ*

მოქალაქეთა საყოველთაო დაზღვევის პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების სერვისებისა და მოცულობის შესახებ მოსახლეობის ინფორმირების მიზნით დაიგეგმა საინფორმაციო ბუკლეტის შემუშავება ქართულ, რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე. დაბეჭდილი ბუკლეტების საერთო რაოდენობა 10000 ცალს შეადგენს. ბუკლეტები დაიგზავნა აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების სოციალური მომსახურების სააგენტოს ფილიალებში და დაურიგდა მოსახლეობას. სხვადასხვა ენაზე შემუშავებული ტექსტი ქართულენოვან ტექსტთან ერთად განთავსდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საიტზე <http://www.moh.gov.ge>, ნაბეჭდი ბუკლეტები ხელმისაწვდომია სამინისტროს მოქალაქეთა მისაღებშიც. პროექტის ფარგლებში დაიგეგმა და ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის სამედიცინო დაწესებულების თანამშრომლებთან, თვითმმართველობასთან და მოსახლეობასთან. მარნეულში, დმანისში, ბოლნისში, წალკაში და ახალციხეში სამედიცინო პერსონალთან და მოსახლეობასთან გაიმართა შეხვედრები.

### **ეთნიკური უმცირესობების ინფორმირება 2013 წელს სოციალურ სფეროში დაგეგმილი რეფორმების შესახებ – სახელმწიფო პენსია და სოციალური შემწეობა**

პროექტის ფარგლებში მომზადდა და გაიმართა სამინისტროს წარმომადგენლების გასვლითი, საინფორმაციო შეხვედრები არაქართულენოვანი მოქალაქეებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში (ქვემო ქართლი, კახეთი, სამცხე-ჯავახეთი). აღნიშნული შეხვედრები მიზნად ისახავდა ეთნიკური უმცირესობები ინფორმირებას იმ მნიშვნელოვანი ცვლილებების შესახებ, რომელთა განხორციელებაც დაიგეგმა 2013 წელს სახელმწიფო პენსიასთან და სხვა სოციალურ გასაცემლებთან მიმართებაში.

დმანისის ჯანმრთელობის ცენტრის რეკონსტრუქციის პროექტის ფარგლებში იაპონიის მთავრობისა და საერთაშორისო ორგანიზაცია „ACTS GEORGIA“-ს ერთობლივი ძალისხმევით გარემონტდა და გაიხსნა სამედიცინო ცენტრი.

### **კიბოს სკრინინგის სამედიცინო საინფორმაციო პროგრამების პრეზენტაცია რეგიონებში**

კიბოს სკრინინგის სახელმწიფო პროგრამა საქართველოში 2008 წლიდან მოქმედებს და ითვალისწინებს უფასო გამოკვლევებს საქართველოს ნებისმიერი მოქალაქისათვის. ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ეროვნული სკრინინგ ცენტრის წარმომადგენლებმა რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით გამართეს საინფორმაციო შეხვედრები. სამედიცინო პროგრამების პრეზენტაცია ჩატარდა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ კაბალში, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ ფოკაში და ბოლნისში. აღნიშნულ პროგრამაში მოსახლეობის ჩართულობის გაზრდის მიზნით დარიგდა საინფორმაციო მასალა.

### **ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია**

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის ფარგლებში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ 2013 წელს განხორციელებულ საქმიანობაში აღსანიშნავია:

1. ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების განვითარების სტრატეგიების შემუშავება და მასში მოსახლეობის მაქსიმალურად ჩართულობის უზრუნველყოფა.
2. ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის საინვესტიციო პროექტების შემუშავება და მათი განხორციელების ხელშეწყობა.
3. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის შემუშავება და განხორციელებაზე მონიტორინგი.
4. ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობა.

ზემოაღნიშნული სამინისტროს მიერ მომზადდა ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების განვითარების სტრატეგიები. ამ სტრატეგიებით განსაზღვრული ქმედებები საფუძვლად დაედო მოცემულ რეგიონებში ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის

ფართო პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებას. (იხ. ცხრილი დანართში 1). სტრატეგიების შემუშავებაში აქტიურად იყო ჩართული ადგილობრივი მოსახლეობა. არაქართველი მოსახლეობის სოციალური და რეგიონული ინტეგრაციის მიზნით სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლსა და კახეთში 2013 წელს გაგრძელდა ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის საინვესტიციო პროექტების განხორციელება ადგილობრივი და სახელმწიფო ბიუჯეტების დაფინანსებით.

ქვემო ქართლის რეგიონის დმანისის მუნიციპალიტეტში განხორციელდა 19 პროექტი, საერთო ღირებულებით 4 518 400 ლარი. კახეთის რეგიონის 8 მუნიციპალიტეტში განხორციელდა 119 პროექტი, საერთო ღირებულებით 29 037 251 ლარი. სამცხე-ჯავახეთის რეგიონის 6 მუნიციპალიტეტში განხორციელდა 51 პროექტი, საერთო ღირებულებით 19 442 120 ლარი.

პროექტები ითვალისწინებდა ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების რეაბილიტაციას, სასმელი წყლის სისტემების მოწესრიგებას, გარეგანათების აღდგენას, ხიდების მოწყობას. განხორციელდა საცხოვრებელი კორპუსების ფასადების შეკეთება, გადაიხურა საცხოვრებელი სახლები. ქვემო ქართლის და კახეთის მუნიციპალიტეტებში 47 საჯარო სკოლას და 4 საბავშვო ბაღში ჩატარდა აღდგენითი სამუშაოები. სამცხე-ჯავახეთში რეაბილიტაცია ჩატარდა 23 საჯარო სკოლის და 4 საბავშვო ბაღის შენობებს.

საქართველოს მასშტაბით, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, 2013 წელს განხორციელდა „**სოფლის მხარდაჭერის პროგრამა**“, (იხ. ცხრილი დანართში 2) რომლის მიზანია პროგრამით გათვალისწინებული თანხის წარმართვა სოფლის პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკურ საჭიროებათა დასაფინანსებლად (ადგილობრივი ინფრასტრუქტურის ობიექტები, კეთილმოწყობის, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები და სხვ.); პროგრამა ითვალისწინებს მოსახლეობის აქტიურ ჩართულობას. პროგრამის განსახორციელებლად საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 50 მლნ ლარი. აღნიშნული თანხა განაწილდა სოფელში რეგისტრირებული მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით. კონკრეტულ სოფელთან მიმართებაში თანხის გამოყენების მიზნობრიობა დგინდება მხოლოდ მოსახლეობასთან კონსულტაციის შემდეგ (სოფლის კრება, საჯარო განხილვები, გამოკითხვები და სხვ.).

პროგრამის ფარგლებში მთლიანად საქართველოში ჩატარდა 3500 სოფლის კრება. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტების ღირებულებამ შეადგინა 50 მლნ ლარი.

**ქვემო ქართლის რეგიონში განხორციელდა 445 პროექტი, საერთო ღირებულებით 6 876 958 ლარი. კახეთის რეგიონში განხორციელდა 550-ზე მეტი პროექტი, საერთო ღირებულებით 6 631 499 ლარი, ხოლო სამცხე-ჯავახეთის რეგიონში – 430-ზე მეტი პროექტი, საერთო ღირებულებით 3 605 112 ლარი.**

სოფლის მეურნეობის დარგში, კერძოდ კი წვრილი ფერმერული მეურნეობების და ასოციაციების შექმნისა და განვითარების საქმეში, ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობის მიზნით რეგიონული განვითარების სააგენტოები ინტენსიურად აწყობდნენ თემატურ

შეხვედრებს, ტრენინგებსა და სემინარებს ადგილობრივი მეწარმეებისათვის, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის.

ეთნიკური უმცირესობების სამეურნეო და სოციალური ინტეგრაციის გაძლიერების მიზნით საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საერთაშორისო (ტრანსსასაზღვრო) თანამშრომლობის განვითარებას (პირველ რიგში სომხეთთან და აზერბაიჯანთან). ქვეყნის სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, კახეთის საზღვრისპირა თანამშრომლობის, რეგიონების მდგრადი განვითარების, მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა.

## VI. კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნება

გასული წლების მსგავსად, 2013 წელიც გამოირჩეოდა კულტურის მხარდასაჭერად ჩატარებული მრავალფეროვანი ღონისძიებებით, რომლებიც ემსახურებოდა როგორც ეთნიკური უმცირესობების თვითმყოფადობის შენარჩუნებას, ისე მათი კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და განვითარებას. ყოველივე ზემოხსენებულის ხელშეწყობის მიზნით ჩატარდა სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები: ფესტივალები, კონკურსები, გამოფენები, ხსოვნის საღამოები, კულტურათაშორისი დიალოგები, ლიტერატურულ-შემეცნებითი პრეზენტაციები და სხვ.

*საქართველოს ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის დაცვა-განვითარების, პოპულარიზაციის, ქართულ კულტურულ სივრცეში ინტეგრირების თვალსაზრისით საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ 2013 წელს რიგ პროექტებს შეუწყო ხელი:*

- განხორციელდა პროექტი „ქართულ-სომხურენოვანი და ქართულ-აზერბაიჯანულენოვანი საინფორმაციო კომპიუტერული მეგა-თამაში „ერთიანი საქართველო““, რომლის მიზანია, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ საქართველოს რეგიონებში და დედაქალაქში სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან მოსახლეობას გააცნოს საქართველოს კულტურის მრავალფეროვნება, შეასწავლოს ქართული ენა და ხელი შეუწყოს მათ ინტეგრირებას ქართულ კულტურულ სივრცეში.
- სსიპ მირზა ფათალი ახუნდოვის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმმა განახორციელა პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა ქვემო ქართლის რეგიონში, აზერბაიჯანელებით კომპაქტურად დასახლებულ სოფლებში შემორჩენილი აზერბაიჯანული ხელით ნაქსოვი ხალიჩების ქსოვის ტრადიციების აღორძინებას. მუზეუმთან შეიქმნა ქსოვის შემსწავლელი წრეები, სადაც ახალგაზრდა თაობა დაეუფლა ხელით ნაქსოვი გობელენებისა და ხალიჩების ქსოვის ტექნოლოგიას. მათ მიერ შექმნილი ნამუშევრების გამოფენა გაიმართა 2013 წლის დეკემბერში.
- გამოიცა ოსი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, გიორგი ძუგაევის ლექსების ორენოვანი (ქართულ-ოსური) კრებული „ოსური რომანსი“ (პროექტის ავტორი ა(ა)იპ „კავკასიური მოზაიკა“). კრებულის პრეზენტაცია გაიმართა მწერლის სახლში.
- ქართულ ენაზე გამოიცა ცნობილი სომეხი მწერლის, გაგიკ დავთიანის ნაწარმოებების კრებული. აღნიშნული გამოცემის პრეზენტაცია გაიმართა სამინისტროში, რომელსაც



ესწრებოდა თავად გაგიკ დავითიანი, სომხეთისა და საქართველოს მწერალთა კავშირის წარმომადგენლები.

- საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში მოეწყო ქართულ-ებრაული კულტურული ურთიერთობების ამსახველი გამოფენა.
- საქართველოში მცხოვრებ პოლონელ ქალთა ასოციაციამ „მეგობრობა“ მაისის თვეში პოლონეთის დღეები აღნიშნა. ამასთან დაკავშირებით საქართველოს ესტუმრა ჩრდილოეთ კავკასიის პოლონური დიასპორის ხელმძღვანელი 30-კაციანი დელეგაციით.
- დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში მოეწყო ქართველ ებრაელთა კულტურული მემკვიდრეობის ამსახველი გამოფენა.
- რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ჩატარდა მულტიკულტურული ფესტივალი „ერთი ცის ქვეშ“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ეთნიკურ უმცირესობათა ბავშვთა მუსიკალური სკოლების აღსაზრდელებმა და ფოლკლორულმა ანსამბლებმა.

### ***თბილისის მერიის მიერ განხორციელებული კულტურული პროექტები:***

თბილისის მერიის ორგანიზებით ერევნიდან სომეხი მხატვარი ესტუმრა საქართველოს და გამართვა შეხვედრა თბილისის მერიის №1 სამხატვრო სკოლის მოსწავლეებთან. ამავე პროგრამის ფარგლებში თბილისის 98-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები ესტუმრნენ ერევნის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ საგანმანათლებლო კომპლექსს, სადაც უკვე რამდენიმე წელია, ქართული ენის სწავლების პროგრამა ხორციელდება.

თბილისის მერიის ხელოვნების სკოლებში განხორციელდა რამდენიმე საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროექტი და მასტერ-კლასი, რომელშიც გარკვეული ნაწილი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი თბილისელი ხელოვნების შემოქმედების გაცნობასა და პოპულარიზაციას დაეთმო. ამ სეგმენტში აქტიურად ჩაერთვნენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეები.

წლის განმავლობაში გამართულ პროექტებსა და ღონისძიებებში აქტიურად იყვნენ ჩართული ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები.

### ***საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ ჩატარებული ღონისძიებები***

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან, სახალხო დამცველის აპარატთან არსებულ ტოლერანტობის ცენტრთან, საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა სათვისტომოებთან.

პარტნიორ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად 2013 წელს ეროვნულ ბიბლიოთეკაში 14 ღონისძიება ჩატარდა. მათ შორის იყო ფერწერული და ფოტოგამოფენები, კონცერტები, წიგნების პრეზენტაციები. ღონისძიებებზე არაერთხელ გამოიფინა ეთნიკურ უმცირესობათა შესახებ ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდებში დაცული უნიკალური მასალები.

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მხარდაჭერით 2013 წლის განმავლობაში ჩატარდა

ჩრდილოკავკასიელ ხალხთა ისტორიის, ფოლკლორისა და კულტურისადმი მიძღვნილი საღამოები და პრეზენტაციები. მათ შორის აღსანიშნავია ჩეჩენი და ინგუში ხალხების დეპორტაციის 69 წლისთავისადმი მიძღვნილი ხსოვნის საღამო, ქისტი მწერლების – ხ. ხანგოშვილისა და დ. პანკელის წიგნის – "აზრავების" – ქართულიდან რუსულ ენაზე თარგმანის პრეზენტაცია.

***2013 წელს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების მხარდაჭერისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით მრავალი პროგრამა და ღონისძიება განახორციელა, მათ შორის:***

- აზერბაიჯანულ, აფხაზურ, ოსურ, რუსულ ენებზე რადიოსპექტაკლის სახით დაიდგა ვაჟა-ფშაველას პოემა „სტუმარ-მასპინძელი, რომელიც ჩაიწერა DVD დისკზე (დამზადდა 5 000 ცალი) და დაურიგდა მოსწავლე ახალგაზრდობას.
- 2013 წლის 21 ივნისს თბილისს ესტუმრნენ სოფ. შაუმთანში მცხოვრები ქართველი დევნილი და სომეხი ახალგაზრდები.
- 1 ივნისს ახმეტის რაიონის სოფლებიდან მოსწავლეები ექსკურსიაზე ჩამოვიდნენ თბილისში. მოსწავლეებმა დაათვალიერეს ეთნოგრაფიული მუზეუმი, დაესწრნენ ხრიდოლის საბრძოლო ხელოვნების წარმოდგენას და სხვადასხვა გათამაშებაში მიიღეს მონაწილეობა. ახმეტის რაიონში მცხოვრები ახალგაზრდები დაესწრნენ თბილისის სპორტის სასახლეში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატს ძიუდოში.
- 8 ივნისს ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭყვიშში გაიმართა კონკურსი “გალაკტიონობა 2013“, რომელშიც მონაწილეობდნენ გარდაბნის და მარნეულის ეთნიკური უმცირესობის არაქართულენოვანი სასწავლო დაწესებულების წარმომადგენლები.

### ***მულტიეთნიკური ფესტივალები***

ოქტომბრის თვეში ლაგოდეხის ნაკრძალის ტერიტორიაზე “ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების პროგრამის” ფარგლებში ჩატარდა მულტიეთნიკური კულტურული ფესტივალი “კახეთი 2013”, რომლის ფარგლებში თითოეულმა მუნიციპალიტეტმა წარმოადგინა თავის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისა და ქართულ ხალხური კულტურა. მოეწყო ხალხური რეწვის ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა, წარმოდგენილი იქნა ასევე კახეთის რეგიონში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების სამზარეულოების გამოფენა-კონკურსი. გაიმართა კონცერტი ადგილობრივი ფოლკლორული ცეკვებისა და მუსიკის ანსამბლების მონაწილეობით.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით ბოლნისში მოეწყო ახალგაზრდული ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობდა 600 ახალგაზრდა. ფესტივალის ფარგლებში მოეწყო ხელოვნების ნიმუშების გამოფენა-გაყიდვა, სპორტული აქტივობები სხვადასხვა სახეობებში. ფესტივალი დასრულდა ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების ფოლკლორული და მუსიკის ანსამბლების კონცერტით.

## VII. რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ განხორციელებული საქმიანობა

რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, როგორც უწყებათაშორისი კომისიის წევრი და მაკოორდინირებელი უწყება, აქტიურად იყო ჩართული „შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის“ ჩამოყალიბების და შესრულების პროცესში. სახელმწიფო მინისტრის აპარატი ხელმძღვანელობდა უწყებათაშორისი კომისიის მუშაობას: წარმართავდა კომისიის სხდომებს და შეხვედრებს, ატარებდა თემატურ დისკუსიებს და კონსულტაციებს, აგრეთვე ახორციელებდა სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებს კონცეფციის სტრატეგიული მიმართულებების მიხედვით.

სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის პროცესი მიმდინარეობდა მოსახლეობასთან, ადგილობრივ თვითმმართველობებთან, თემის ლიდერებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან მჭიდრო ურთიერთობის ფონზე. სახელმწიფო მინისტრის აპარატი სხვადასხვა საკითხების მოგვარების მიზნით შუამდგომლობდა ცენტრალურ ხელისუფლებასთან.

### *უწყებათაშორისი კომისიის სხდომები და სამუშაო შეხვედრები*

2013 წლის განმავლობაში ტარდებოდა უწყებათაშორისი კომისიის სხდომები და სამუშაო შეხვედრები.

8 ივლისს გამართულ სხდომაზე სახალხო დამცველს და სახალხო დამცველის აპარატთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წარმომადგენლებს წარედგინა 2012 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. შეხვედრაზე განხილული იქნა, თუ რა წარმატებები და სირთულეები სდევდა სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესს და როგორი შედეგები იქნა მიღწეული.

ზემოაღნიშნული ანგარიში საქართველოს მთავრობას წარედგინა 20 ივნისს გამართულ მთავრობის სხდომაზე. შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის 2012 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში ითარგმნა სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ, ინგლისურ ენებზე და განთავსდა სახელმწიფო მინისტრის აპარატის ვებგვერდზე.

### *კომისიის თემატური სამუშაო შეხვედრები*

2013 წლის 20 სექტემბერს გაიმართა სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის სამუშაო სხდომა სახელმწიფო ენისა და განათლების მიმართულებით. განხილული იქნა მიღწეული დადებითი შედეგები, აგრეთვე სირთულეები და გამოწვევები. კომისიის წევრებმა იმსჯელეს სხვა ქვეყნების გამოცდილებაზე და მის რელევანტურობაზე/გამოყენებაზე საქართველოს კონტექსტში. მონაწილეები შეთანხმდნენ მიმართულებების ფარგლებში თემატური ჯგუფების ჩამოყალიბებაზე და დამატებით ამ ფორმატით მუშაობის გაგრძელებაზე.

4 ოქტომბერს გაიმართა უწყებათაშორისი კომისიის სამუშაო სხდომა მედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის მიმართულებით. განხილულ იქნა მიმდინარე პროექტები და სამომავლო გეგმები. შეხვედრის მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გადაცემა „ჩვენი ეზოს“ და ეროვნული უმცირესობების ენებზე „მომხმის“ ფორმატის შეცვლის თაობაზე. სხდომაზე მიწვეული იყვნენ არაქართულენოვანი ბეჭდვითი მედიის წარმომადგენლები. სახელმწიფო მხარს უჭერს 3 არაქართულენოვანი გაზეთის გამოცემას, ესენია: სომხურენოვანი „ვრასტანი“, აზერბაიჯანულენოვანი „გურჯისტანი“ და რუსულენოვანი „სვობოდნაია გრუზია“. აღსანიშნავია, რომ დღის წესრიგში დგას ამ გამოცემების მიმართ ინტერესის და საჭიროების გაზრდის საკითხი არაქართულენოვან მოსახლეობაში. სხდომის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ ამ მიმართულებით გაგრძელდება მუშაობა.

### *გაცვლითი/სასწავლო ვიზიტი*

უწყებათაშორისი კომისიის წევრებმა ასევე მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო ღონისძიებებში, რომელთა მიზანი იყო სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარება. ესტონეთის აღმოსავლეთ პარტნიორობის ცენტრის მიწვევით და ესტონეთის დიპლომატიური სკოლის მხარდაჭერით, უწყებათაშორისი კომისიის წევრები, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილის ხელმძღვანელობით, 2-4 სექტემბერს იმყოფებოდნენ ვიზიტით ესტონეთში. ვიზიტის მიზანი იყო ესტონეთის გამოცდილების გაზიარება სამოქალაქო ინტეგრაციის კუთხით. შეხვედრები შედგა ქვეყნის კულტურისა და განათლების სამინისტროების წარმომადგენლებთან, ასევე, სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებზე მომუშავე სპეციალისტებთან.

### *სამოქალაქო მონაწილეობა*

ტოლერანტობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის ფარგლებში ჩატარებული საქმიანობის გაცნობის მიზნით საანგარიშო წლის ივნის-ივლისში შედგა გასვლითი შეხვედრები ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ქვემო ქართლის რეგიონში. განხილული იქნა სახელმწიფო პოლიტიკა ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის მიმართულებით. მარნეულის მოსახლეობა, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, პარლამენტის ადგილობრივი დეპუტატები, ახალგაზრდა აქტივისტები, სტუდენტები და თემის ლიდერები გაეცნენ მიმდინარე პროექტებს და სამომავლო გეგმებს. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა შედგა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად და მიეძღვნა განათლებისა და სახელმწიფო ენის სწავლების საკითხს, ამ მიმართულებით მიმდინარე პროგრამების განხილვას.

12 აპრილს რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის თანამშრომლები მივლინებით იმყოფებოდნენ პანკისის ხეობაში არსებული მდგომარეობისა და მოსახლეობის პრობლემების ადგილზე შესასწავლად.

საანგარიშო პერიოდში გაიმართა შეხვედრები მედიის, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. განხილული იქნა სტრატეგიის სხვადასხვა მიმართულებით მიღწეული შედეგები და სირთულებები, აგრეთვე შემდგომი სტრატეგიის ამოცანები და პრიორიტეტები.

### *სახელმწიფო მინისტრისა და პირველი მოადგილის ვიზიტები და შეხვედრები*

რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი და მისი პირველი მოადგილე წლის განმავლობაში მართავდნენ სამუშაო შეხვედრებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში (სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, აჭარა, კახეთი) და დედაქალაქში. შეხვედრების მთავარი მიზანი იყო მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება, მათი ჩართულობის ხელშეწყობა, არსებული პრობლემების შესწავლა და მათი მოგვარების ხელშეწყობა.

გასული წლის განმავლობაში რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა და მინისტრის პირველმა მოადგილემ საქართველოში მცხოვრებ ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებს, ასევე ქვეყანაში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს მიულოცეს მათი ეროვნული და რელიგიური დღესასწაულები და მონაწილეობა მიიღეს საზეიმო ღონისძიებებში.